პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 179 (5209)

1974 წ. 10 სექტემბერი, სამშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

- უნიულის მოედნებზე
- მემორიალის პირველი ლიდერები



## ვიქტორ სანეევის ჩინებული ნახტომი

### რეკორდი ვიტჩასი: 195 სმ!

რომი, 8 სექტემბერი. ევროპის მძლეოსანთა ჩემპიონატის ბოლო დღე დაამშვენა გდრ-ის სპორტსმენ როზემარი ვიტჩასის მსოფლიო რეკორდმა სიმაღლეზე ხტომაში. ამ შესანიშნავმა მძლეოსანმა 195 სმ დაძლია! ეს იყო გდრ-ის სპორტსმენთა მიერ დღეს მოპოვებული ხუთი ოქროს მედლიდან ერთ-ერთი, რითაც გდრ-ის ნაკრებმა ჩემპიონთა ჯილდოებით სსრ კავშირის ნაკრებს გაუსწრო.

გდრ-ის მძლეოსნებმა ევროპის პირველობაში სულ მოიხვეჭეს 10 ოქროს მედალი, საბჭოთა მძლეოსნებმა — 9. კონტინენტის 4-4 ჩემპიონი ჰყავთ ინგლისს, პოლონეთსა და ფინეთს. სულ კი პირველი პრიზები 12 ქვეყნის წარმომადგენლებმა მოიპოვეს.

შესანიშნავმა საბჭოთა სამხტომელმა, ოლიმპიური თამაშების ორგზის ჩემპიონმა, თბილისელმა ვიქტორ სანეევმა თავის მრავალრიცხოვან მაღალ ტიტულებს კიდევ ერთი დაუმატა — ევროპის ჩემპიონი გახდა ჩინებული შედეგით. მისი ყველაზე გრძელი ნახტომი ამჯერად 17,23 მეტრს უდრიდა. ეს საუკეთესო შედეგია წლეულს მსოფლიოში.

სურათზე: ვ. სანეევი.

მ. ზარგარიანის ფოტო.

## გდრ-ის ნიჩბოსანთა ტრიუმფი

ლიუცერნი, 9 სექტემბერი. ლენინგრადელები ვ. ემინოვი და ნ. ივანოვი (მესაჭედ მოსკოველი ა. ლუკიანოვი ჰყავდათ) ოქროს მედლებს დაეუფლნენ აკადემიურ ნიჩბოსნობაში აქ დამთავრებულ IV მსოფლიო ჩემპიონატში. სსრ კავშირის მრავალგზის, კონტინენტის შარშანდელი ჩემპიონები, ახლა მსოფლიოში უმაღლესი ტიტულის მფლობელნი გახდნენ.

ემინოვი და ივანოვი ფინალურ რბოლაში თავიდან ბოლომდე ლიდერობდნენ. გდრ-ის სპორტსმენებს, რომლებმაც II ადგილი დაიკავეს, მათ თითქმის 6 წამით აჯობეს. საგრძნობლად ჩამორჩნენ ჩეხოსლოვაკიის, იტალიის, საფრანგეთის, რუმინეთის ნავები.

საბჭოთა ნიჩბოსნებმა, რომლებიც ფინალის შვიდ სახეობაში ასპარეზობნენ, კიდევ მოიგეს მედლები, მაგრამ ოქრო სადღა იყო! მათ ხვდათ 3 ვერცხლისა და 1 ბრინჯაოს ჯილდო. წყვილმოსასმელიანი „ოთხიანებით" საბჭოთა ნაკრებმა ვერცხლი მიიღო, ბოლო 100 მეტრზე ძალიან ცოტათი წააგო გდრ-ის ნიჩბოსნებთან. ასევე მეორენი იყვნენ ფინიშზე საბჭოთა გასამლელი ოთხადგილიანები (მესაჭით და უმესაჭოდ).

ერთადგილიანებით ასპარეზობაში 19 წლის კიეველი ნ. დოვგანი მედგარ წინააღმდეგობას უწევდა ჩემპიონ ვ. ჰიონიგს (გდრ) და ამერიკელ ჯ. დიტცს, რომლის საფინიშო სპურტი მოულოდნელი იყო. დოვგანი ბრინჯაოს დასჯერდა.

ფინალებში მონაწილეობდნენ 17 ქვეყნის სპორტსმენები, ბრძოლა კი 32 ქვეყნის წარმომადგენლებმა დაიწყეს.

ყველაზე დიდი წარმატება ტრადიციულად ხვდათ გდრ-ის ნიჩბოსნებს, რომლებმაც მსოფლიო პირველობის რვა ფინალური რბოლიდან ექვსი მოიგეს.

რვაადგილიანებით ასპარეზობაში გაიმარჯვეს ამერიკელებმა. ფინალის მონაწილე ექვსივე ნავმა შესანიშნავი დრო აჩვენა: აშშ — 5.46,37, ინგლისი — 5.47,49, ახალი ზელანდია — 5.48,24, გდრ — 5.49,16, სსრ კავშირი — 5.49,39, გფრ — 5.55.44.

ვ. ბუტკუსმა და ი. მალიშევმა წყვილმოსასმელიანი ორადგილიანებით V ადგილი დაიკავეს, ხოლო ვ. კუზინმა და მ. კუზნეცოვმა უმესაჭო ორადგილიანებით — VIII. (საკდესი).

● რიგა, 7 სექტემბერი. სსრ კავშირის ჰოკეისტთა ნაკრებმა განმეორებით საწვრთნელ მატჩში კვლავ სძლია ადგილობრივ „დინამოს", ამჯერად ანგარიშით 11:5 (4:2, 5:1, 2:2). მასპინძელთა კარში შაიბები გაიტანეს კოტოვმა (3), პეტროვმა (2), იაკუშევმა, ლიაპკინმა, გუსევმა, მალცევმა, მიხაილოვმა და ხარლამოვმა. ნაკრების კარი აიღეს სოროკინმა (ორჯერ), სერნიავინმა, სოკოლოვსკიმ და მარკოვმა.

● ჩერეპოვეცი, 7 სექტემბერი. აქ ამხანაგურ მატჩში ისევ შეხვდნენ ერთმანეთს სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის იუნიორ ჰოკეისტთა ნაკრები გუნდები. საბჭოთა სპორტსმენებმა კვლავ გაიმარჯვეს, ამჯერად ანგარიშით 6:3.

● სოჩი, 8 სექტემბერი. აქ მიმდინარეობს მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტრადიციული ტურნირი — მ. ჩიგორინის მემორიალი. შეჯიბრების პირველი ლიდერები გახდნენ დიდოსტატები ა. სუეტინი (სსრ კავშირი) და კ. რობაჩი (ავსტრია).






კვირას თბილისის კულტურისა და დასვენების პარკებში საზეიმოდ აღინიშნა დედაქალაქის ინსტიტუტებში, სკოლებსა და სასწავლებლებში ახალი სასწავლო წლის დაწყება. ახალგაზრდებს საზეიმო შეკრებაზე მიესალმნენ რესპუბლიკის გამოჩენილი ადამიანები. მოეწყო ვიქტორინები, სანახაობრივი სპორტული გამოსვლები.

* * *

სურათებზე: „გამარჯვების" პარკში თავიანთ ოსტატობას უჩვენებენ თბილისის განათლების განყოფილების აკრობატიკისა და მხატვრული ტანვარჯიშის ბავშვთა სპორტსკოლის აღსაზრდელები (ზედა ფოტო); საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტები აკრობატული ვარჯიშის შესრულებისას.

ა. ვაჩიანის ფოტოები.

## გუშინ

თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე საკავშირო ჩემპიონატის მორიგ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „დინამოსა" და მოსკოვის „სპარტაკის" ფეხბურთელთა გუნდები. გაიმარჯვეს მოსკოველებმა — 1:0. ბურთი მასპინძელთა კარში 63-ე წუთზე თავური დარტყმით გაიტანა კოკორევმა.

# ბულგარელი ხალხის დიდი ზეიმი

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მიწა-წყალზე დიდი ზეიმია: 30 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ამ ქვეყანაში სოციალისტურმა რევოლუციამ გაიმარჯვა.

ბულგარელი ხალხის ზეიმში მონაწილეობის მისაღებად სოფიაში ჩავიდა საბჭოთა კავშირის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. პოდგორნი. დელეგაციის შემადგენლობაში სხვებთან ერთად საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. შევარდნაძე.

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკამ არნახული გამარჯვებები მოიპოვა მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში. ასევე დიდი წარმატებებია მოპოვებული ფიზკულტურასა და სპორტში. სოციალისტური წყობილების წლებში ბულგარეთში დიდი ყურადღება ექცევა ახალგაზრდობის ფიზიკურ აღზრდას. ამიტომ, რაც დრო გადის, მით უფრო დიდია ამ ქვეყნის სპორტსმენთა ხვედრითი წონა საერთაშორისო სარბიელზე. ბულგარეთს ჰყავს ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოს, ევროპის ჩემპიონები და რეკორდსმენები, მისი ეროვნული ნაკრები გუნდები წარმატებით მონაწილეობენ საერთაშორისო შეჯიბრებებში.

აქ განსაკუთრებით პოპულარულია ჭიდაობა, ფეხბურთი, კალათბურთი, ცურვა, ძალოსნობა, მხატვრული ტანვარჯიში...

ბულგარელ სპორტსმენთა წინსვლაზე ნათლად მეტყველებს შემდეგი ფაქტი: მიუნხენის ოლიმპიურ თამაშებში ეს ქვეყანა არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში VIII ადგილზე გავიდა.

ფიზიკური კულტურის დიდ პოპულარობას ისიც ადასტურებს, რომ ბულგარეთში 2 მილიონზე მეტი ადამიანია ჩაბმული სპორტის სხვადასხვა სახეობაში. ბოლო ოც წელიწადში აქ აშენდა 1600 სპორტნაგებობა (372 სტადიონი, 267 ღია და 21 დახურული საცურაო აუზი, 41 სპორტდარბაზი, 1354 საფეხბურთო მინდორი, ხელბურთის 244 მოედანი და სხვ.)

ბულგარელ და ქართველ სპორტსმენებს მტკიცე მეგობრობა აკავშირებთ. საქართველოს სპორტსმენები ძალიან პოპულარული არიან ბულგარეთში. ბულგარულმა გაზეთმა „ნაროდენ სპორტმა" დაბეჭდა საქვეყნოდ სახელმოხვეჭილი მოჭიდავის პ. კიროვის ინტერვიუ. შეკითხვაზე ვინ არის ყველა დროის ყველაზე დიდი მოჭიდავე, მან სხვებთან ერთად ჩვენი რომან რურუაც დაასახელა, ხოლო შეკითხვაზე — ვინ არის მისთვის სამაგალითო ათლეტი, ოლიმპიურმა, მსოფლიოსა და ევროპის არაერთგზის ჩემპიონმა კვლავ რურუა ახსენა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ეძიებდე და ჰპოვებდე...

მას ყველა იცნობს, ვისაც ჭადრაკი უყვარს და ვინც არასდროს გაჰკარებია 64-უჯრედიან დაფას. ალექსანდრიას სახელი ბევრს ხიბლავს ჭადრაკის მოყვარულებისთვის და, საზოგადოდ, ჭადრაკისთვის. წარმოიდგინეთ, რა იქნებოდა ჭადრაკი უალექსანდრიოდ! ამ ბრძნულ თამაშს მოაკლდებოდა ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელი, როგორიც ოდესმე ჰყოლია. ჩვენ, განებივრებულნი ნონა გაფრინდაშვილის მრავალწლიანი საჭადრაკო დედოფლობით, ხშირად ჯეროვნად არ ვაფასებთ მასზე რანგით რამდენადმე დაბლა მდგომ კოლეგებს, გინდაც ჩვენი თანამემამულე იყოს. მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყანა, ნებისმიერი კონტინენტი ბედნიერი იქნებოდა, ნანას ტოლფასი მოჭადრაკე რომ ჰყოლოდა და თუ ვინმესთვის უპრიანია ეპითეტი „ჭადრაკის მოცარტი", იგი უპირველესად ყოვლისა ალექსანდრიას მისამართით უნდა გამოვიყენოთ. იგი თამაშობს ჭადრაკს, როგორც ცხოვრობს, სუნთქავს, ლაპარაკობს, იღიმება... ჭადრაკი მისთვის ბუნებრივი მოქმედებაა, თამაშია, ჭეშმარიტების ძიებაა და, აქედან გამომდინარე, სიხარულისა და შემოქმედებითი ტკბობის უშრეტი წყაროა. ნახეთ თუნდაც მისი ერთი პარტია და, როგორც ფსიქოლოგიურ რომანებში, თქვენს თვალწინ დაიხატება სიცოცხლით აღსავსე, ხალისიანი, დაუშრეტელი გამომგონებლობის, მდიდარი ფანტაზიის მქონე პიროვნება. ჭადრაკის თამაში იოლად ეძლევა, რადგანაც ეს სფერო მისთვის იმთავითვე ბუნებრივი სტიქია იყო და, თუ გნებავთ, ეგრეთ წოდებული თვითგამოხატვის საშუალება. „ზოგი ჭადრაკში ამჟღავნებს თავისივე პიროვნებას, ზოგი კი ცდილობს შეავსოს საკუთარი ნაკლი". ეს ნანას სიტყვებია, რომლებიც მან შუა საუბარში წარმოთქვა. მანამდე კი...

ჩვენ ვისხედით საჭადრაკო მიმომხილველის თ. გიორგაძის მანქანაში. სპორტკომიტეტიდან ჭადრაკის სასახლემდე არც თუ ისე დიდი გზაა. მანქანაში ჩვენთან ერთად იყო ნონა გაფრინდაშვილი. თითქოს განგებ, რუსთაველის პროსპექტზე მანქანების უწყვეტ ნაკადს რამდენიმე მოხდენილი ინსპექტორი ქალიშვილი აწესრიგებდა. ჭადრაკის დიდოსტატებს ეს „ექსტრავაგანტური" დეტალი არ გამორჩენიათ: „აი, ქალთა ემანსიპაციის კიდევ ერთი ახალი ნიმუში, — ქალები ინსპექტორების როლში"...

... მაშ ასე: ნანა ალექსანდრია, მოჭადრაკე, რომელსაც ჩვენი საზოგადოებრიობა იცნობს კიდევაც და არც იცნობს. სპორტული იოდა, მათ შორის საჭადრაკოც, ერთობ სწრაფმავალია. ნანას პირველივე გამოჩენა საჭადრაკო სარბიელზე ფეიერვერკს ჰგავდა. თეთრბაფთიანი, მოსწავლის ტანსაცმელში გამოწყობილი გოგონა სასწაულებს სჩადიოდა. მისი პარტიები ჰგავდა ანკარა მდინარეს, სადაც ყველაფერი ნათელი იყო. ცინცხალი ფანტაზია და უზადო გემოვნება ამ პარტიებს თავისებურ კოლორიტს აძლევდა. ეს ჩვენთვის — ჭადრაკის დილეტანტებისთვის, თორემ სპეციალისტთათვის ნანას პიროვნება გაცილებით მეტს ნიშნავდა: „თვითმყოფადი ნიჭი", „იშვიათი ტალანტი", „ჩემპიონების რისხვა", — ხშირად წაიკითხავდით ავტორიტეტულ სპორტულ გამოცემებში. უდავოა, ნანას სახით ჭადრაკმა იპოვა თავისი ერთ-ერთი ყველაზე სახელოვანი მიმდევარი, პიროვნება, რომელმაც ქალთა ჭადრაკს მსოფლიოში გაუთქვა სახელი. სსრ კავშირის სამგზის ჩემპიონი, საერთაშორისო ტურნირებისა და ოლიმპიადების მონაწილე, მსოფლიო პირველობის პრეტენდენტი, მსოფლიოს № 3 მოჭადრაკე... ასე იცნობდა ნანას საჭადრაკო სამყარო.

და უცებ... რა მოხდა უცებ, ამას ვერავინ გეტყვით. საამისოდ ძირფესვიანად უნდა ჩაწვდე პიროვნების არა მარტო სპორტულ, არამედ ცხოვრებისეულ საკითხებსაც. ერთი კი ნათელია: გარკვეულ პერიოდში მოჭადრაკე ნანა ალექსანდრიას თითქოს ყავლი გაუვიდა. სულ უფრო იშვიათად ვხედავდით პრესაში ალექსანდრიას სახელს. იქნებ ეს კრიზისული პერიოდი განპირობებული იყო კუშნირთან უშედეგო მატჩით, ან ვაჟიშვილით, რომელიც ნანას ამ მატჩის დამთავრებიდან ოთხი თვის შემდეგ შეეძინა? იქნებ ამაში დამნაშავე იყო ჭადრაკის ერთგვარი მობეზრების ფაქტორიც, ან არჩევანი, რომელიც მას უნდა გაეკეთებინა უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ (დარჩენილიყო ინგლისური ენისა და ლიტერატურის კათედრაზე სამეცნიერო მოღვაწეობისთვის, თუ ბოლომდე გაჰყოლოდა ეგრეთ წოდებულ დიდ ჭადრაკს)?

ჩვენ შეგვიძლია ყოველივე ამაზე მხოლოდ ვივარაუდოთ, ვინაიდან ნარკვევის გმირი ძუნწად მიმოიხილავდა საუბარში თავისი ცხოვრების ერთობ პრინციპულ და ბუნდოვან პერიოდს. ჩვენ მხოლოდ იმის თქმა გვინდა, რომ სპორტსმენის, კერძოდ, მოჭადრაკის ცხოვრება და მოღვაწეობა მხოლოდ გულშემატკივრებისთვის ხილული ამბებით არ ამოიწურება. იგი გაცილებით რთული და მრავალპლანიანია, ეს ცხოვრება, რომელსაც გამოცდილი დირიჟორის ჯოხი როდი წარმართავს და აწესრიგებს.

ძალიან საინტერესო წერილი დაიბეჭდა „ფუტბოლ-ჰოკეის" 35-ე ნომერში. პოეტი ე. ევტუშენკო წერს: „აუცილებელი არ არის ყოველ ფეხბურთელს მოვთხოვოთ კიბერნეტიკაში ერკვეოდეს ვინერივით, მუსიკაში — შოსტაკოვიჩივით, პოლიტიკაში — იური ჟუკოვივით, მაგრამ შინაგანი კულტურის უქონლობა ადრე თუ გვიან აისახება მის თამაშში. რა თქმა უნდა, კულტურა ვერ დაეხმარება სრულიად უნიჭო ფეხბურთელს, რათა იგი გენიოსად იქცეს, მაგრამ თუნდაც მისი საფუძვლები დაეხმარება ნიჭიერ ფეხბურთელს, რომ უკეთესად ათამაშდეს".

მოჭადრაკეები, საზოგადოდ, სპორტსმენთა ინტელექტუალურ კატეგორიას განეკუთვნებიან. სიტყვა „მოჭადრაკე" მუდამ იწვევს ერთობ გონებაგახსნილი, ერუდირებული, ინტელიგენტური პიროვნების ასოციაციას. ნანა კი ამ ინტელექტუალურ „საჭადრაკო ქვეყანაშიც" კი გამოირჩევა თავისი დახვეწილი შინაგანი კულტურითა და ერუდიციით. ბედნიერებაა, როცა, მაგალითად, ფოლკნერს დედანში კითხულობ და ტკბები XX საუკუნის ამ ბუმბერაზი მწერლის მხატვრული სახეებით. ორმაგი ბედნიერებაა, როცა შექსპირი შენს წინაშე წარმოდგება ეგრეთ წოდებული „არასტერილიზებული" სახით, ესე იგი, დედანში და არა თარგმანში. მაგრამ ეს ნანას კაპრიზი როდია, უბრალოდ, მან მშვენივრად იცის ბაირონისა და დიკენსის ენა. იმდენად კარგად, რომ უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მასწავლებლები დაჟინებით მოითხოვდნენ ნიჭიერი მოსწავლისგან ასპირანტურაში გაეგრძელებინა სწავლა (იმ დროისთვის ნანას უკვე დაწერილი ჰქონდა ჩინებული საკურსო თემა „ჰემინგუეის „ვის უხმობს ზარი" და სადიპლომო ნაშრომი „ჰემინგუეის სტილი").

მაგრამ საქმე იმდენად ინგლისური ენის სრულყოფილად ცოდნაში როდია. ნანა ნებისმიერ საკითხს, იქნება ეს სამეცნიერო, ცხოვრებისეული თუ სპორტული, მაქსიმალური სერიოზულობითა და სიღრმით უდგება. მისთვის არ არსებობს ცნებები „პირველხარისხოვანი" და „მეორეხარისხოვანი". არც სწავლა და, მით უმეტეს, ჭადრაკის თამაში, მისთვის თვითმიზანი არ ყოფილა (მაგალითად, დიპლომის აღება დიპლომისთვის, ანდა, რადაც უნდა დასჯდომოდა, აეღო პირველი პრიზი ჭადრაკში). „მე მუდამ ვთამაშობდი ჭადრაკს, რათა მაქსიმალური კმაყოფილება მიმეღო თავად თამაშის პროცესისგან, ჭადრაკის განსაცვიფრებელი, ენითაუწერელი სამყაროდან და არა იმდენად სპორტული შედეგის მისაღწევად". ეს ნანას სიტყვებია. ეს გამოთქმა, რომელიც მისგან უწინაც გვსმენია, პირდაპირი მნიშვნელობით არ უნდა გავიგოთ. ნანა არ ჰგავს უიღბლო მოჭადრაკეს, რომელიც ჭადრაკში აბსტრაქტული, გინდაც კონკრეტული სილამაზის მეტს ვერაფერს ხედავს და ამიტომ მისი სპორტული შედეგები უფერულად გამოიყურება. ნანა თამაშობს ლამაზად, სიამოვნებით, დაუფარავი აზარტითა და ხალისით, ხოლო შედეგები... აზრი არა აქვს კვლავ გავიმეოროთ ალექსანდრიას მიერ წლების მანძილზე მოპოვებული გამარჯვებების გრძელი ნუსხა.

ნანას დიდი ნიჭის თაყვანისმცემლები კი მისგან ახალ-ახალ გამარჯვებებს მოელიან. ეს არის უდიდესი ნდობა, როცა ქომაგთა არმია თავისი კერპისგან მხოლოდ თვალსაჩინო მიღწევებს მოითხოვს. ეს ნდობა საზრდოობს მისი ბავშვობის პერიოდიდან, როცა სავსებით ახალგაზრდამ შეძლო საჭადრაკო ოლიმპთან ისე ახლოს დამდგარიყო, რომ თვით დიდი ნონას ჩრდილში არ ყოფილიყო. მან მონახა ის ბილიკი, საიდანაც ნათლად ჩანს თვით მსოფლიოს ჩემპიონის მზით განათებული ტახტრევანი. დაუფიქრდით, რას ნიშნავს ეს ადგილი, დაუკვირდით, რა უზარმაზარ ნერვულ, შემოქმედებით, მორალურ, ფიზიკურ მსხვერპლს მოითხოვდა მრავალი წლის მანძილზე კაისა ნანასგან. აკი მცირეოდენი პაუზაც, მისი საჭადრაკო ეტლის სრბოლის მცირეოდენი შენელებაც კი ასე უარყოფითად აისახა ალექსანდრიას სპორტული ბიოგრაფიის ერთ-ერთ კონკრეტულ მონაკვეთზე. იგი, შექსპირისა და ბაირონის ენის შესწავლაში ჩაღრმავებული ნაზი ქალიშვილი, მრავალმხრივი ინტერესების მქონე, ერთდროულად ქალურად სათუთი და ძლიერი პიროვნება, მერე კი მზრუნველი დედა, ყველაზე მაღალი საჭადრაკო მწვერვალისკენ ილტვოდა, მაგრამ მაშინ, როცა მიზნამდე ერთი ნაბიჯიღა იყო, დამარცხდა. მოგვიანებით ნანა იტყვის: „ფიქრი კუშნირთან მატჩზე არ მტოვებდა დიდი ხნის შემდეგაც. ვიღვიძებდი შეშფოთებული და ვფიქრობდი, დამთავრდა მატჩი, თუ კიდევ სათამაშოა-მეთქი. ესაა უცნაური ზმანება, რომელიც დიდი დაძაბულობის შემდეგ გინდა მოიშორო და ვერ იშორებ".

... ის პაწაწინა გოგონა იყო, როცა თბილისის პიონერთა სასახლის ჭადრაკის წრეში მივიდა. როგორ აღმოაჩინეს? მივიდნენ სკოლაში და იკითხეს: ვინ იცის ჭადრაკის თამაშიო. წამოდგა ორი თანაკლასელი ვასიკო მახალდიანი და ნანა ალექსანდრია. ამ შემთხვევამ გადაწყვიტა მისი ცხოვრების ბედი: იგი მოჭადრაკე გახდა. ვახტანგ ქარსელაძე! აი, ვინ იყო მისი მასწავლებელი. მათ კარგად ესმოდათ ერთმანეთისა: მკაცრ, ემოციურ, ოდნავ ანჩხლ, მაგრამ უაღრესად კეთილშობილ და მცოდნე მწვრთნელს და მის მუდამ მოცინარე თითისტოლა მოწაფეს. ისინი ერთად მოგზაურობდნენ ჭადრაკის უკიდეგანო სამყაროში. ქარსელაძე აღფრთოვანებული იყო თავისი მოწაფით. იგი ნანას იმთავითვე ამზადებდა მსოფლიო მასშტაბის შეჯიბრებისთვის. თან ეცოდებოდა — გოგონამ ჯერ არ იცოდა, რაოდენ რთულ, „ხიფათიან" გზას დაადგა. ამიტომ მწვრთნელი, როგორც შეეძლო, ინდობდა — დიდ შეჯიბრებებში ნაადრევად არ უშვებდა. როცა მოსწავლე ნანამ 1962 წელს III ადგილი დაიკავა რესპუბლიკის ჩემპიონატში და საკავშირო პირველობის ნახევარფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვა, ვახტანგ ქარსელაძემ უარი თქვა მის გაშვებაზე: „ნაადრევია, მას კიდევ ხშირად მოუხდება უმძიმეს ტურნირებში მონაწილეობა, ფსიქოლოგიური ტრავმა არ უნდა მიიღოს". და მერე მაინც წაიყვანა საკავშირო ჩემპიონატის ფინალის საყურებლად ბაქოში: „დაე, უყუროს, გამოცდილება შეიძინოს და დარწმუნდეს, რომ მათთან თამაში შეიძლება". ის დიდი პედაგოგი იყო, ვახტანგ ქარსელაძე. მას უზომოდ უყვარდა ჭადრაკი და თავისი აღსაზრდელები. უკვე უიმედოდ ავადმყოფი, სიკვდილის წინა დღეებში იგი იტყვის: „ნანას მწვრთნელი ბუხუტი გურგენიძე უნდა იყოს, მე მას ვენდობი".

ნანა თამაშობდა ბევრს და ხალისით. დღეს მისი სახელი იციან მსოფლიოს ხუთივე კონტინენტზე. უცხოური ჟურნალ-გაზეთები ბეჭდავენ ალექსანდრიას პარტიებს. მან გაუთქვა სახელი თავის სამშობლოს.

... ისინი ერთად ცხოვრობდნენ ლიკანში: ნონა გაფრინდაშვილი, ნანა ალექსანდრია და ირინა ლევიტინა, საბჭოთა ნაკრების წევრები, ქალთა საჭადრაკო ოლიმპიადის მომავალი მონაწილეები. ერთად ისვენებდნენ, ერთად ვარჯიშობდნენ (ცოტათი უცნაურია ალექსანდრია — ლევიტინას მომავალი მატჩის წინ, ასე არ არის?), ერთად არჩევდნენ პარტიებს, კეთილი მეგობრები და უშეღავათო მეტოქეები. საჭადრაკო ოლიმპიადის შემდეგ შეხმატკბილებული ტრიუმვირატი დროებით დაიშლება. დაიწყება საჭადრაკო სამყაროს ერთ-ერთი უაღრესად საინტერესო შეჯიბრება: ალექსანდრია — ლევიტინა.

მან ბევრი ითამაშა და ბევრჯერ გაგვახარა. მაგრამ მას კვლავ გაუნელებლად სწვავს ბრძნული თამაშის სიყვარული, მას კიდევ ხელუხლებელი დარჩა ფანტაზიისა და ნიჭის დიდი მარაგი, რომელიც მომავალ მატჩებსა თუ ტურნირებში აისახება, სადაც უფრო სრულყოფილად გამოჩნდება ნანა ალექსანდრიას ნამდვილი პორტრეტი.

ა. გოგელია.

• • •



სურათზე: ნანა ალექსანდრია საუბრობს...

ა. საკოვის ფოტო.

# ზეიმობენ მომავალი სპეციალისტები

ვ. კიკვიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი საზეიმოდ იყო მორთული. გუშინწინ აქ თბილისის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეები ზეიმობდნენ ახალი, 1974-75 სასწავლო წლის დაწყებას.

პარკის სპორტულ მოედნებზე თავიანთ ოსტატობას აჩვენებდნენ პროფტექნიკური სასწავლებლების სპორტსმენები.

განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ამხანაგურმა შეხვედრებმა ქართულ ჭიდაობაში. ცეცხლოვანი, ტემპერამენტიანი ჭიდაობით მოხიბლეს მაყურებლები 31-ე სასწავლებლის ფალავნებმა დ. ჯულაშვილმა, ტ. შათირიშვილმა, ზ. ხახუტაშვილმა და 32-ე სასწავლებლის აღსაზრდელმა ა. დავითაშვილმა.

დიდი შთაბეჭდილება დატოვა „შრომითი რეზერვების" ცენტრალიზებული სექციის წევრების, ბატუტზე მხტომელთა ს. მარქარიანის, ვ. რემეზოვას, ს. ანდრეასიანის, ფ. ფირანიშვილის, ლ. აბრამიშვილისა და ნ. კალინინის საჩვენებელმა გამოსვლებმა.

საინტერესოდ წარიმართა შეხვედრები კალათბურთში. შეჯიბრებებში ჭაბუკთა 6 და გოგონათა 5 გუნდი მონაწილეობდა. ჭაბუკთა შორის უძლიერესი აღმოჩნდა 74-ე სასწავლებლის ნაკრები, II ადგილზე გავიდა მე-18, ხოლო III — 32-ე სასწავლებლის კოლექტივი. გოგონათა გუნდების შეხვედრებში პირველობა არავის დაუთმეს 36-ე სასწავლებლის წარმომადგენლებმა.

ფრენბურთელ ჭაბუკთა შეჯიბრებაში ტოლი არ ჰყავდათ თბილისის ინდუსტრიულ-პედაგოგიური ტექნიკუმის სტუდენტებს. II ადგილზეა 32-ე სასწავლებლის ნაკრები.

მაგიდის ჩოგბურთელთა ასპარეზობაში ჭაბუკთა 10 და გოგონათა 5 გუნდი მონაწილეობდა. პირველობა დაისაკუთრეს მე-11 სასწავლებლის ჭაბუკთა და გოგონათა ნაკრებმა კოლექტივებმა.

ხალხმრავლობა იყო საჭადრაკო დაფებთანაც. მომავალ სპეციალისტებს ერთდროული თამაშის სეანსებში შეხვდნენ დიდოსტატი ბ. გურგენიძე და ოსტატი თ. გიორგაძე.

ზეიმი გვიან საღამომდე გაგრძელდა...

ი. იმერლიშვილი.

## „ლელო" წერილის კვალდაკვალ

### „ელექტრომანქანა" ადგილიდან უნდა დაიძრას"

ამ სათაურით ჩვენი გაზეთის ამა წლის 5 ივნისის ნომერში დაიბეჭდა წერილი, რომელშიც ლაპარაკი იყო ქარხანა „მიკროძრავის" ფიზკულტურული კოლექტივის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებზე.

თბილისის საწარმოო გაერთიანება „საქელექტრომანქანის" გენერალური დირექტორი კ. გვარიშვილი გვატყობინებს, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს შეეფერება. მუშაობაში არსებული ხარვეზებისთვის ფიზკულტურის მეთოდისტს ა. გიორგაძეს გამოეცხადა სასტიკი საყვედური, ხოლო ფიზკულტურული კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარეს კ. ოქრუაშვილს და საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარეს ნ. ვაჩეიშვილს მიეთითათ.

ადმინისტრაციის წინაშე დასმულია საკითხი ფიზკულტურის მეთოდისტისთვის დამატებითი ოთახის გამოყოფის შესახებ. ქარხნის პარტბიურომ დასახა კონკრეტული ღონისძიებები ფიზკულტურულ-მასობრივი მუშაობის გასაუმჯობესებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფეხბურთი ფეხბურთი ფეხბურთი ფეხბურთი

## ფეხბურთის ქრონიკა

8 სექტემბერს მოსკოვში შედგა საკავშირო პირველობის მორიგი მატჩი ადგილობრივ „დინამოსა“ და ვოროშილოვგრადის „ზარიას“ შორის.

პირველ ტაიმში სტუმრებმა ასე თუ ისე გაუწიეს წინააღმდეგობა დინამოელებს, მაგრამ შემდეგ მთლიანად დათმეს თამაში და დიდი ანგარიშითაც დამარცხდნენ — 0:5. 3 ბურთი გაიტანა პავლენკომ, 2 — კოზლოვმა.

მოსკოვის „დინამოს“ რიგებში ხანგრძლივი შესვენების შემდეგ კვლავ გამოჩნდა კოჟემიაკინი.

## უმაღლესი ლიგა

## სტატისტიკოსის ბლოკნოტიდან

# პირველი წრის მიხედვით

**„ა“ კლასის II ლიგის III ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშებაში გამოდიან რსფსრ-ს, საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის გუნდები.**

✦ პირველ წრეში ჩატარდა 190 მატჩი. სულ გატანილია 451 ბურთი. აქედან მასპინძლებს ეკუთვნით 332, სტუმრებს — 119.

✦ როგორც მუდამ, მასპინძლებს დიდი უპირატესობა აქვთ: მათ მოიგეს 119 მატჩი, 45 ფრედ დაამთავრეს და მხოლოდ 26 წააგეს. მასპინძლებმა აიღეს 283 ქულა, სტუმრებმა — 97.

✦ ყველაზე დიდი ანგარიშით დამთავრდა გორის „დილისა“ და კიროვაკანის „ლორის“ შეხვედრა — 9:1 გორელთა სასარგებლოდ.

✦ ყველაზე მეტი გოლი გაიტანა „დილამ“ — 39, ყველაზე ნაკლები ბურთი გაუშვეს ბათუმის დინამოელებმა — 8.

✦ სტუმრად ვერც ერთი მატჩი ვერ მოიგეს მახარაძის „მერცხალმა“, ლანჩხუთის „გურიამ“, ფოთის „კოლხეთმა“, ზუგდიდის „დინამომ“, ლენინაკანის „შირაკმა“, კიროვაკანის „ლორიმ“, სტავროპოლისა და ბრიანსკის დინამოელებმა.

✦ საკუთარ მინდორზე ვლადიმირის „ტორპედომ“ 18 ქულა აიღო 18-დან! სტუმრად ყველაზე უკეთ ითამაშა ვოლოგდის „დინამომ“ — 13 ქულა 20-დან.

✦ პირველი 9 ტური წაუგებლად განვლო ვოლოგდის „დინამომ“, ხოლო სუმგაითის „ფოლადს“ პირველ 8 ტურში არ გაუმარჯვია.

✦ შარშანდელთან შედარებით სატურნირო მდგომარეობა გაიუმჯობესა ბათუმის „დინამომ“, რომელმაც XIII ადგილიდან მესამეზე გადაინაცვლა. პირიქით, გააუარესეს მაჩვენებლები „კოლხეთმა“ და „მერცხალმა“, ხოლო „გურია“ შარშანაც და წლეულსაც X ადგილზე იყო.

გ. მელქაძე.

სამტრედია.

**სსრ კავშირის პირველობა**

## I ლიგა

# ზერხამის გადამწყვეტი გოლი

6 სექტემბერს ქუთაისის „ტორპედოს“ კალენდარული შეხვედრა ჰქონდა ორჯონიკიძეში ადგილობრივ „სპარტაკთან“.

ტორპედოელებმა ანგარიშით 1:0 სძლიეს მეტოქეს. ეს გადამწყვეტი გოლი 61-ე წუთზე გაიტანა ხერხაძემ.

მოგვყავს სხვა შეხვედრათა შედეგები, რომლებიც ჩვენს გაზეთში არ იყო გამოქვეყნებული: „ყუბანი“ (კრასნოდარი) — „სტროიტელი“ (აშხაბადი) 1:0, „ტექსტილშჩიკი“ (ივანოვო) — „სპარტაკი“ (ივანო-ფრანკოვსკი) 1:2, „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) — „ზვეზდა“ (პერმი) 2:1.

### გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 10 სექტემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ლოკომ.“ | 27 | 15 | 6 | 6 | 50—23 | 36 |
| ასკ | 28 | 13 | 9 | 6 | 41—26 | 35 |
| „კრ. სოვეტ.“ | 28 | 14 | 6 | 8 | 44—30 | 34 |
| „ნეფთჩი“ | 27 | 13 | 8 | 6 | 34—20 | 34 |
| „დინამო“ | 27 | 14 | 6 | 7 | 39—28 | 34 |
| „ტავრია“ | 27 | 14 | 4 | 9 | 51—34 | 32 |
| „კუზბასი“ | 27 | 13 | 4 | 10 | 33—33 | 30 |
| „ურალმაში“ | 28 | 10 | 8 | 10 | 29—33 | 28 |
| „ტორპედო“ | 27 | 10 | 8 | 9 | 24—28 | 28 |
| „მეტ.“ (ზ.) | 27 | 10 | 7 | 10 | 30—32 | 27 |
| „სპარტაკი“ (ნალჩიკი) | 28 | 8 | 11 | 9 | 24—27 | 27 |
| „ზვეზდა“ | 28 | 10 | 7 | 11 | 38—44 | 27 |
| „სპარტაკი“ (ორჯონ.) | 28 | 11 | 4 | 13 | 31—43 | 26 |
| „შინიკი“ | 27 | 8 | 9 | 10 | 33—36 | 25 |
| „სპარტაკი“ (ივ.-ფრ.) | 28 | 6 | 13 | 9 | 27—30 | 25 |
| „სტროიტ.“ | 27 | 7 | 8 | 12 | 27—36 | 22 |
| „ყუბანი“ | 28 | 7 | 8 | 13 | 39—53 | 22 |
| „პამირი“ | 25 | 6 | 9 | 10 | 27—29 | 21 |
| „მეტალურგი“ (ლიპეცკი) | 27 | 6 | 9 | 12 | 25—34 | 21 |
| „ტექსტ.“ | 27 | 3 | 6 | 18 | 21—48 | 12 |

დუბლიორთა შემადგენლობანი

მდგომარეობა 9 სექტემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ასკ | 28 | 16 | 7 | 5 | 65—23 | 39 |
| „კრ. სოვ.“ | 28 | 13 | 11 | 4 | 33—15 | 37 |
| „ტექსტილ.“ | 27 | 13 | 6 | 8 | 41—24 | 32 |
| „ლოკომოტ.“ | 27 | 13 | 6 | 8 | 29—21 | 32 |
| „დინამო“ | 27 | 12 | 7 | 8 | 39—32 | 31 |
| „ნეფთჩი“ | 27 | 11 | 9 | 7 | 36—31 | 31 |
| „პამირი“ | 24 | 12 | 6 | 6 | 38—24 | 30 |
| „ზვეზდა“ | 28 | 12 | 5 | 11 | 43—41 | 29 |
| „კუზბასი“ | 27 | 10 | 8 | 9 | 35—30 | 28 |
| „შინიკი“ | 27 | 10 | 7 | 10 | 44—45 | 27 |
| „მეტ.“ (ზ.) | 26 | 10 | 7 | 9 | 35—38 | 27 |
| „მეტ.“ (ლ.) | 27 | 9 | 8 | 10 | 35—37 | 26 |
| „სპარტაკი“ (ორ.) | 28 | 8 | 10 | 10 | 25—29 | 26 |
| „ურალმაში“ | 28 | 8 | 10 | 10 | 32—37 | 26 |
| „ტავრია“ | 27 | 8 | 8 | 11 | 28—34 | 24 |
| „ყუბანი“ | 28 | 9 | 5 | 14 | 34—36 | 23 |
| „სპარტაკი“ (ივ.-ფრ.) | 27 | 9 | 5 | 13 | 25—41 | 23 |
| „სტროიტ.“ | 27 | 8 | 5 | 14 | 28—40 | 21 |
| „სპარ.“ (ნ.) | 27 | 3 | 11 | 13 | 23—52 | 17 |
| „ტორპ.“ | 27 | 3 | 6 | 18 | 22—60 | 12 |

## II ლიგა III ზონა

მოგვყავს 6 სექტემბერს გამართული მატჩების შედეგები: „კალიტვა“ (ბელაია კალიტვა) — „დილა“ (გორი) 1:2, „გურია“ (ლანჩხუთი) — „მერცხალი“ (მახარაძე) 1:1, „დინამო“ (კიროვაბადი) — „ისკრა“ (სმოლენსკი) 3:1, „ფოლადი“ (სუმგაითი) — „დინამო“ (ბრიანსკი) 1:2, „ლორი“ (კიროვაკანი) — „ურალანი“ (ელისტა) 1:3, „შირაკი“ (ლენინაკანი) — „დინამო“ (სტავროპოლი) 2:1, „ტორპედო“ (ვლადიმირი) — „ხიმიკი“ (ძერჟინსკი) 2:1, „დინამო“ (ვოლოგდა) — „ხიმიკი“ (ნოვომოსკოვსკი) 5:1.

**სსრ კავშირის პირველობა**

# იუპიტერო, შენ ბრაზობ, მაშასადამე მართალი არა ხარ!

საკავშირო პირველობის გათამაშებამ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდებისთვის II ლიგის III ზონაში კარგა ხანია მეორე ნახევარს გადააბიჯა. კალენდარი ისეა შედგენილი, რომ უკანასკნელი რამდენიმე ტურის მანძილზე რესპუბლიკის გუნდები ერთმანეთს ხვდებიან. ნაწილს (ბათუმის „დინამო“, გორის „დილა“) გამარჯვება სუნთქვასავით სჭირდება, ვინაიდან თითოეულ ქულაზეა დამოკიდებული მოხვედრა სახატრელ სამეულში, რომელიც ფინალურ ჯგუფში გააგრძელებს ბრძოლას პირველ ლიგაში გადასვლისთვის. სხვებს (განსაკუთრებით, ფოთის „კოლხეთსა“ და ზუგდიდის „დინამოს“) ქულები სჭირდებათ, რადგან აუტსაიდერები არიან და შეიძლება დაემშვიდობონ კიდეც ლიგას. აი, რატომაა, რომ ზოგჯერ რესპუბლიკურ გუნდებს შორის ბრძოლა, უბრალოდ, არაჯანსაღ ფორმებს ღებულობს.

ამ ბრძოლის ნორმალურ კალაპოტში ჩასაყენებლად პირველ ყოვლისა აშკარაა, რომ უნდა გასწორდეს შეცდომა, რომელიც დაშვებულია რესპუბლიკურ პირველობაში გამარჯვებული გუნდის ოსტატთა მეორე ლიგაში გადასვლის დადგენილ წესში. ჩვენში მოქმედი წესის მიხედვით, საქართველოს პირველობაში გამარჯვებული ავტომატურად უცვლის ადგილს კოლექტივს, რომელიც II ლიგის რესპუბლიკურ გუნდებს შორის ბოლო ადგილზე დარჩა. სწორია ეს? არა! ამ წესის გამო ოსტატთა გუნდების გარეშე უკვე დარჩნენ ისეთი ქალაქები, როგორიცაა სოხუმი და რუსთავი, რასაც ჩვენში ფეხბურთის განვითარებისთვის ზიანის მეტი არაფერი მოუტანია. ახლა ჩვენ ვნანობთ, მაგრამ, როგორც იტყვიან, გვიანი არის თითზე კბენანი. შეცდომის გამეორება კი არ ღირს. ჩვენ დაინტერესებული ვართ, რომ II ლიგაში გვყავდეს რესპუბლიკის უძლიერესი კოლექტივები. ამიტომ II ლიგის გუნდმა თავისი ბედი უნდა გაარკვიოს საქართველოს პირველობაში გამარჯვებულთან ორ გადასასვლელ თამაშში (საკუთარ და მეტოქის მინდორზე).

თუ ჩვენ დავადგენთ ამ სამართლიან შესწორებას, უდავოდ გაიოლდება მეტოქეობის არაჯანსაღ ფორმებთან ბრძოლა, როცა აუტსაიდერები არაფერს თაკილობენ, ოღონდ ლიგაში დარჩნენ და იქცევიან ძირითად ძალად, რომელიც ჩვენს საუკეთესო გუნდებს დაწინაურებაში უშლის ხელს. ახლა კი ამ აუტსაიდერებს ეცოდინებათ, რომ ბოლო ადგილი ჯერ კიდევ არ ნიშნავს „ა“ კლასში მათი ყოფნის დასასრულს. სხვანაირად რომ ითქვას, იკლებს არაჯანსაღი ჟაჟიოტაჟის დონე.

ასეა თუ ისე, მოვიდა სიგნალები, რომ ზუგდიდელები II ლიგაში დასარჩენად არ უკადრისობენ არავითარ საშუალებებს და როცა იქ ჩვენი სხვა გუნდები თამაშობენ, სპორტული სამართლიანობის პრინციპი ითელება. სწორედ მე გამგზავნეს სპეციალურად ზუგდიდში ლიდერის (ბათუმის „დინამო“) და აუტსაიდერის (ზუგდიდის „დინამო“) მატჩზე დასასწრებლად.

ბათუმელებმა ეს შეხვედრა მინიმალური ანგარიშით (0:1) წააგეს. პირდაპირ ვიტყვი, რომ მათ არავისი სამდურავი არ უნდა ჰქონდეთ, თუ არა თავის თავისა. ზუგდიდელებმა ითამაშეს უკეთ, ვიდრე ამას წარმოვიდგენდი. ბათუმელებმა კი, უბრალოდ, ცუდად ითამაშეს, ისე, რომ ამ დღეს მათი თამაში სრულიად არ შეეფერებოდა სატურნირო ცხრილში დაკავებულ მაღალ ადგილს.

აგვისტოში ბათუმში მე ვნახე მასპინძელთა მატჩები ელისტის „ურალანისა“ და სტავროპოლის „დინამოს“ წინააღმდეგ. მაშინ ბათუმელებმა თავხამედოოვე, მობილური თამაშით გაგვახარეს. ახლა კი ისინი ცუდად, არაორგანიზებულად მოქმედებდნენ, მეტოქეებთან შედარებით მუდამ სულ ცოტას აგვიანებდნენ ბურთთან მისვლას. დაცვა უხეში შეცდომებით თამაშობდა, რამაც ზუგდიდელებს საშუალება მისცა სტუმართა კართან რამდენიმე ძალიან მწვავე მომენტი შეექმნათ, განსაკუთრებით, პირველ ტაიმში. ხოლო მატჩის დასაწყისში შორიდან გატანილი გოლი მთლიანად ბათუმელთა დაცვის სინდისზეა, როცა მცველებმა უგეოგრაფოდ ითამაშეს და დაუდევრად გაუშვეს დასარტყმელ პოზიციაზე ზუგდიდელთა სტოპერი. ინერტულად მოქმედებდა ნახევარდაცვა, ხოლო თავდამსხმელებმა ვერ გამოიყენეს ანგარიშის გაქვითვის სამი რეალური შესაძლებლობა. პირველ ტაიმში ბათუმელმა თავდამსხმელმა, მას მერე, რაც მეკარის ჩათვლით ყველა მოატყუა და ცარიელი კარის წინ აღმოჩნდა, დარტყმის ნაცვლად, დაიწყო, ასე ვთქვათ, მოტყუებების მეორე სერია, რაც დასრულდა ბურთის უაზრო გადაკვრით სადღაც კარიდან გვერდზე. მეორე ტაიმში შექმნილ საგოლე სიტუაციაში კი თავდამსხმელებს შეეშინდათ დამაგვირგვინებელი დარტყმის პასუხისმგებლობა თავის თავზე აეღოთ, გაქაქავამ ბურთის გადაცემებით და დაკარგეს იგი. მეორე შემთხვევაში თავდამსხმელი დიდხანს უმიზნებდა კარს. ვინ დაგაცლის ამდენს? საერთოდ, ბოლო 15 წუთის განმავლობაში ბათუმელებმა ასე თუ ისე ააწყვეს თამაში და ზუგდიდელები კართან მიამწყვდიეს, მაგრამ უკვე გვიან იყო.

თუმცა თამაშის მოყოლა ჩემს ამოცანაში არ შედის. მე სხვა მაინტერესებს: მოთამაშეების, გუნდების ხელმძღვანელებისა და მსაჯების მოქცევა.

ყოველმხრივ ჩანდა, რომ ბათუმელმა ფეხბურთელებმა და გუნდის ხელმძღვანელობამ ყველაფერი არაობიექტურ მსაჯობას დააბრალა. როგორ იყო საქმე ამ მხრივ? რასაკვირველია, შეცდომები იყო. მაგალითად, მე მიმაჩნია (სწორედ პირდაპირ ვიჯექი), რომ მეორე ტაიმის ეპიზოდში, როცა ქაქაბავამ ბურთი თავით მიიღო, არავითარი თამაშგარე მდგომარეობა არ იყო. სდუმდა მსაჯის სასტვენი, როცა უსწოროდ გადაუღობეს გზა საჯარიმო მოედანში შეჭრილ ბათუმელ ქეიშვილს. მსაჯს შეუნიშნავი დარჩა ზუგდიდელების მიერ დაშვებული რამდენიმე უხეშობა. მაგრამ ყველაფერი ეს ხდებოდა არა საგოლე სიტუაციებში და არც ისეთი თანმიმდევრობით, ეჭვი რომ შემეტანა მსაჯთა ბრიგადის არაობიექტურობაში.

რაც ყველაზე მთავარია, ბათუმელებმა უნდა აღიარონ, რომ მინდორზე ისინი (განსაკუთრებით, მეორე ტაიმში) გაცილებით მეტად უხეშობდნენ, ხოლო გუნდის კაპიტანი ქორიძე ზუგდიდელების მე-6 ნომერთან შეჯახების შემდეგ ისე აღვირახსნილად (გზად ყველა მოცელა), ისე გამომწვევად იქცეოდა (მსაჯის მიმართაც), რომ მხოლოდ არბიტრის ლიბერალიზმმა იხსნა იგი მინდვრიდან გაძევებისგან. ვიმედოვნებ, რომ კაპიტნის ქცევა გუნდის მსჯელობის საგნად იქცევა.

ერთი სიტყვით, მინდორზე და მის ფარგლებს გარეთაც ქცევისთვის სერიოზული პასუხი ზუგდიდელებს კი არ უნდა მოვთხოვოთ, არამედ მათს სტუმრებს — ბათუმელებს. ეს არ ნიშნავს, რომ ზუგდიდელები ღებულობენ რაღაც ინდულგენციას, რომელიც ჰპატიებთ მათ წარსულ და მომავალ ცოდვებს. დღეს კი, სამწუხაროდ, აღმზრდელობითს თემებზე საუბრის საბაბი ბათუმელებმა და ყველაზე მეტად, ვფიქრობ, თვით გუნდის ხელმძღვანელებმა მოგვცეს.

ბათუმელთა კარში გატანილი გოლიდან რამდენიმე წუთის შემდეგ მინდორზე ქუჩური ჟინებისთვის გაფრთხილება მიიღო მათმა სტოპერმა გოგიჯანაშვილმა. როგორ მოიქცნენ გუნდის ხელმძღვანელები? შესვენებისას მათ უხეშად დაიწყეს მსაჯთან კამათი. რატომ? ისინი არ ეთანხმებოდნენ აღნიშნული გაფრთხილების სისწორეს, რადგან, საერთოდ, მინდორზე ვინ არ იგინებაო (!). მათ ხელზე დაიხვიეს ის გარემოებაც, რომ არბიტრმა გ. პოლოსიანმა მაშინვე ყურად იღო გვერდითი მსაჯის რჩევა და მოთამაშეს ყვითელი ბარათი აჩვენა.

მაგრამ ცნობილია თუ არა მათთვის თამაშის წესების განმარტება, რომელიც ამბობს: „ხაზზე მსაჯის კვალიფიკაციისგან დამოკიდებულებით, მსაჯი აფართოებს ან ზღუდავს მის უფლებებს“. ამ შემთხვევაში ხაზზე მსაჯად სსრ კავშირის ერთ-ერთი საუკეთესო არბიტრი ა. მილჩენკო იყო. ასე რომ, პოლოსიანი სწორად მოიქცა, როცა სრული ნდობით მოეკიდა თანაშემწის რეკომენდაციას და გამოუძიებლად დასაჯა დამნაშავე.

გუნდის ხელმძღვანელებს კი არ აღმოაჩნდათ აუცილებელი ტაქტი ასეთი ავტორიტეტული მსაჯის მიმართ. სრულიად დაუშვებელია, რომ მილჩენკოსთან კამათში მათ ჩარიეს თავიანთი ფეხბურთელები გოგიჯანაშვილი და გაგუა, რომლებიც შესვენებისას მიიყვანეს მსაჯთა ოთახში პირზე დადგომისთვის.

რასაკვირველია, ბათუმელ ფეხბურთელებთან არ იქნება წესრიგი, დისციპლინა და მსაჯებისადმი საჭირო პატივისცემა, როცა გუნდის ხელმძღვანელები თავიანთი დაუშვებელი პრაქტიკით მათ საპირისპიროს ასწავლიან და თვითონ რევენ ფეხბურთელებს მსაჯებთან კამათში. ამით ისინი ხაზს უსვამენ, რომ უფრო მეტად ენდობიან თავიანთ დამნაშავე ფეხბურთელებს, ვიდრე ისეთ პატიოსან და ავტორიტეტულ მსაჯს, როგორიცაა მილჩენკო.

სამწუხარო ამბებს უნდა მივაკუთვნოთ ისიც, რომ თამაშის შემდეგ მსაჯთა ოთახში მყოფმა ბათუმის გუნდის უფროსმა მწვრთნელმა ვ. ჩხარტიშვილმა საჭიროდ ჩათვალა მხოლოდ მილჩენკოს დამშვიდობებოდა, ხოლო გუნდის უფროსი გ. მენაბდე საერთოდ არც ერთ მსაჯს არ გამოეთხოვა. შესაძლებელია ისინი უკმაყოფილო იყვნენ მსაჯობით. ეს მათი უფლებაა. მაგრამ ზრდილობის ნორმების ლაცვა მათთვის სავალდებულოა, თუნდაც გუნდში აღმზრდელობითი მუშაობის ინტერესებისთვის. ისღა მრჩება დავუმატო, რომ მათ არც მე ჩამთვალეს გამოშვიდობების ღირსად. პასუხად მხოლოდ ეს შემიძლია ვთქვა: „იუპიტერო, შენ ბრაზობ, მაშასადამე მართალი არა ხარ!“

ვ. მდივანი.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 10 სექტემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ტორპედო“ (ვლადიმირი) | 29 | 17 | 8 | 4 | 45—19 | 42 |
| „დინამო“ (ბათუმი) | 28 | 14 | 10 | 4 | 38—14 | 38 |
| „ისკრა“ (სმოლენსკი) | 29 | 16 | 6 | 7 | 44—23 | 38 |
| „დილა“ (გორი) | 28 | 16 | 5 | 7 | 63—32 | 37 |
| „დინამო“ (ვოლოგდა) | 28 | 15 | 7 | 6 | 46—26 | 37 |
| „ურალანი“ (ელისტა) | 29 | 15 | 6 | 8 | 40—27 | 36 |
| „ხიმიკი“ (ძერჟინსკი) | 28 | 13 | 7 | 8 | 39—25 | 33 |
| „ლოკომოტივი“ (სამტრედ. | 28 | 11 | 8 | 9 | 32—36 | 30 |
| „დინამო“ (სტავროპოლი) | 29 | 11 | 7 | 11 | 43—30 | 29 |
| „დინამო“ (ბრიანსკი) | 29 | 12 | 5 | 12 | 37—37 | 29 |
| „გურია“ (ლანჩხუთი) | 29 | 7 | 14 | 8 | 36—36 | 28 |
| „დინამო“ (კიროვაბადი) | 28 | 11 | 4 | 13 | 40—36 | 26 |
| „მერცხალი“ (მახარაძე) | 28 | 8 | 10 | 10 | 35—46 | 26 |
| „კალიტვა“ (ბელაია კალიტვა) | 29 | 10 | 5 | 14 | 30—35 | 25 |
| „ხიმიკი“ (ნოვომოსკოვსკი) | 29 | 10 | 3 | 16 | 29—42 | 23 |
| „შირაკი“ (ლენინაკანი) | 28 | 9 | 5 | 14 | 32—47 | 23 |
| „დინამო“ (ზუგდიდი) | 29 | 9 | 5 | 15 | 30—54 | 23 |
| „კოლხეთი“ (ფოთი) | 29 | 8 | 6 | 15 | 24—37 | 22 |
| „ლორი“ (კიროვაკანი) | 28 | 3 | 7 | 18 | 16—59 | 13 |
| „ფოლადი“ (სუმგაითი) | 28 | 5 | 2 | 21 | 17—55 | 12 |

## რაგბი

**სსრ კავშირის პირველობა**

### ლიდერები ჩემპიონებთან

ათ მატჩში 18 ქულა დააგროვეს სსრ კავშირის ჩემპიონებმა — მოსკოვის სპორტკლუბ „ფილის“ რეგბისტებმა. მიმდინარე პირველობის ლიდერებმა გუშინწინ ლენინგრადში ანგარიშით 16:4 (4:4) დაამარცხეს ადგილობრივი „ბურევესტნიკი“.

მოსკოვის „ლოკომოტივმა“ ფრედ დაამთავრა შეხვედრა თანაქალაქელ „ავტომობილისტთან“ — 3:3 (0:3), ხოლო ი. გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემიის გუნდმა თბილისის „ლოკომოტივს“ სძლია — 25:0 (9:0).

თბილისში წარმატებით ითამაშა ადგილობრივმა „განთიადმა“. მან ანგარიშით 13:10 სძლია კიევის სამოქალაქო ავიაციის ინჟინერთა ინსტიტუტის გუნდს.

# თამარ ხუგაშვილის წარმატება

სსრ კავშირის გუნდური თასის ამასწინანდელ გათამაშებაში (მოსკოვი) „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს კოლექტივმა გაიმარჯვა. მან ზედიზედ დაისაკუთრა თასი. გუნდის ღირსებას იცავდნენ: ვაჟები — დიდოსტატები ვ. სმისლოვი, მ. ტაიმანოვი, ი. ბალაშოვი, საერთაშორისო ოსტატები ბ. გულკო, ი. რაზუვაევი, ჭაბუკი — ოსტატი ა. ივანოვი, ქალები — საერთაშორისო ოსტატი ე. ფატალიბეკოვა (რუბცოვა), ოსტატი თ. ხუგაშვილი, გოგონა — ოსტატობის კანდიდატი ნ. ალიოხინა.

ბურევესტნიკელთა თავკაცი — მოსკოვის ენერგეტიკული ინსტიტუტის დოცენტი, ოსტატი მ. ბონჩ-ოსმოლოვსკი აღნიშნავს, რომ გუნდს ძალიან გაუჭირდა თასის შენარჩუნება, ვინაიდან მას აკლდნენ ნ. გაფრინდაშვილი და ნ. ალექსანდრია. მაგრამ ამ სახელოვანი მოჭადრაკეების შემცვლელებმა ძალ-ღონე არ დაიშურეს და შეუპოვრად ითამაშეს. ფატალიბეკოვამ 5,5 ქულა მოაგროვა 9 შეხვედრაში, ხუგაშვილმა — 4,5.

თასის გათამაშებაში სხვადასხვა გუნდის შემადგენლობაში საქართველოს სხვა მოჭადრაკეებიც მონაწილეობდნენ: დიდოსტატები ბ. გურგენიძე („დინამო“), ე. გუფელდი (ცდსა), საერთაშორისო ოსტატები რ. ჯინჯიხაშვილი, მ. ჩიბურდანიძე და საქართველოს ჩემპიონი, ოსტატი ე. უბილავა (სამივე — „დინამო“).

თავიანთ დაფებზე I ადგილები დაიკავეს: პირველ დაფაზე — მ. ტალმა („დაუგავა“) — 6,5 ქულა 9-დან, მეორეზე — ლ. პოლუგაევსკიმ („ლოკომოტივი“) — 7 9-დან, მესამეზე — ო. რომანიშინმა (ლვოვი) — 6 9-დან, მეოთხეზე — მ. პოდგაეცმა — 7,5 9-დან, მეხუთეზე — ი. კლოვანმა (ცდსა) — 6 7-დან, მეექვსეზე — ა. ივანოვმა („ბურევესტნიკი“) — 5,5 9-დან, მეშვიდეზე — ლ. სემიონოვამ („ავანგარდი“) 6 6-დან, მერვეზე — ა. მკრტჩიანმა („სპარტაკი“) — 8 9-დან, მეცხრეზე — ა. ოზოლამ („დაუგავა“) — 8 9-დან.

თასის გათამაშების შემდეგ გაზეთ „მოსკოვსკი კომსომოლეცის“ რედაქციამ გამართა მოსკოვის ქალთა ღია ჩემპიონატი ელვისებურ თამაშში. ბრძოლაში 12 ოსტატი, 2 ოსტატობის კანდიდატი და 4 პირველთანრიგოსანი ჩაება. I ადგილი დაიკავა ნ. კონოპლიოვამ (მოსკოვი) — 13 ქულა, II — ა. მკრტჩიანმა (ტაშკენტი) — 12, III — ჩიბურდანიძემ — 11,5. IV-V ადგილები გაიყვეს ნ. ტიტორენკომ (მოსკოვი) და ხუგაშვილმა...

* * *

სურათზე: საქართველოს ექს-ჩემპიონი, ოსტატი თ. ხუგაშვილი.

ა. საკოვის ფოტო.






◆ ანკარა, 9 სექტემბერი. ჩოგბურთელთა აქ დამთავრებული საერთაშორისო ტურნირის პროგრამის ხუთი სახეობიდან საბჭოთა სპორტსმენებმა სამში მიაღწიეს წარმატებას. ქალთა ერთეულების ფინალურ მატჩში მოსკოველმა ე. გრანატუროვამ ანგარიშით 7:5, 6:3 სძლია ახალზელანდიელ კონორს, ხოლო შერეულ წყვილთა გადამწყვეტ შეხვედრაში მან თანაქალაქელ ა. ბოგომოლოვთან ერთად ამერიკელებს მერფისა და ფრიტცს აჯობა — 7:5, 6:4. ვაჟთა წყვილების შეჯიბრება მოიგეს ბოგომოლოვმა და ვ. ბორისოვმა (მოსკოვი), რომლებმაც ხუთ ხელში დაამარცხეს ძმები პამპულოვები (ბულგარეთი). ვაჟთა ერთეულების თანრიგში საუკეთესო იყო ბ. პამპულოვი, რომელმაც ფინალში ბოგომოლოვს სძლია — 6:3, 5:7, 6:3, 3:6, 6:2. ქალთა წყვილებში გაიმარჯვეს მერფიმ და კონორმა. მათ I ადგილისთვის შეხვედრა მოუგეს გრანატუროვას და ფინელ პირილას — 6:2, 3:6, 6:2.

# დოლამისზე...



კომკავშირის ქუთაისის საქალაქო კომიტეტმა კურორტ შოვის მახლობლად, სოფელ გლოლაში ქალაქის საწარმოდაწესებულებათა კომკავშირული ორგანიზაციების მუშაკთათვის ხუთდღიანი თათბირ-სემინარი და ალპინიადა მოაწყო. ღონისძიებაში 400-მდე კომკავშირელი მონაწილეობდა.

პირველ დღეებში შეკრების მონაწილეთა ნაწილი მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებისთვის ემზადებოდა, ნაწილი კი ქვეითად გაუდგა გზას შოვისა და მამისონის ზეკარისკენ.

და აი, დადგა სანატრელი დღეც — 30 აგვისტო. დილის 4 საათზე სპორტის ოსტატ შ. მარგიანის განკარგულებით ასამდე ახალგაზრდამ გუდა-ნაბადი აიკრა და მწვერვალ დოლამისის დასალაშქრავად გაემართა. ლაშქრობაში მარგიანს ეხმარებოდნენ გამოცდილი მთამსვლელები, ქუთაისელები — სპორტის ოსტატი მ. ჰიჰინაძე, ვ. მინდაძე, გ. ჩუბინიძე, დ. ცომაია, თ. გიგანი, თბილისელები დ. სიმონიშვილი და მ. ელისაშვილი.

13 საათსა და 15 წუთზე ჩვენს ფეხქვეშ აღმოჩნდა მწვერვალი დოლამისი. აქედან, 3267 მეტრის სიმაღლიდან, ჩვენს თვალწინ ბუნების წარმტაცი სანახაობა გადაიშალა.

— ჩემთვის დაუვიწყარი იქნება მწვერვალ დოლამისზე ლაშქრობა. თურმე როგორ დამიკარგავს დრო, ამგვარ ლაშქრობებში წინათ რომ არ ვყოფილვარ. რა მხნედ და ლაღად ვგრძნობ თავს! — გვითხრა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორმა გ. ჩხეიძემ.

— მწვერვალის დაპყრობით გამოწვეულმა სიხარულმა და იქიდან დანახულმა ბუნების სილამაზემ სულ დამავიწყა დაღლა,— გვითხრა მრეწველობის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა თ. ბასილაძემ.



კარვების ქალაქში დაბრუნებულებმა შევიტყვეთ, რომ იქ დარჩენილებს მშდ კომპლექსის ნორმატივები ჩაუბარებიათ ტყვიის სროლაში, ლერძზე მიზიდვაში, ხელყუმბარის ტყორცნაში და მძლეოსნურ კროსში. ნორმატივები 181 კაცმა ჩააბარა. კარგ შედეგებს მიაღწიეს კ. ბერაძემ, მ. კარანაძემ, ვ. აფრიდონიძემ, ვ. სოკუნოვამ...

ამ ღონისძიების მონაწილენი მდიდარი შთაბეჭდილებებით დაბრუნდნენ შინ.

**ლ. ფაჩუაშვილი,**
ალპინიადის მონაწილე.

(ჩვენი კორ.).
სოფ. გლოლა,
ონის რაიონი.

* * *

სურათებზე: ლაშქრობის მომენტი; კარვების ქალაქი.

ავტორის ფოტოები.



# მეტოქეთა მეოთხე შეხვედრა

სპოკანი, 9 სექტემბერი. სსრ კავშირის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრები აქ მეოთხედ შეხვდა ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნულ გუნდს. საინტერესო ამხანაგური მატჩი მასპინძელთა გამარჯვებით დამთავრდა — 75:69 (42:32).

თამაში დაიწყო ამერიკელთა თავბრუდამხვევი იერიშით. მასპინძელთა სასტარტო ხუთეულში ქვეყნის უძლიერესი სამოყვარულო კოლექტივის — ჩრდილოეთ კაროლინის უნივერსიტეტის გუნდის სამი კალათბურთელი თამაშობდა დ. ტომსონის მეთაურობით. პირველი ტაიმის შუაში ამერიკელთა უპირატესობამ 17 ქულას მიაღწია. შემდგომში სტუმრები ამ სხვაობის შემცირებას ცდილობდნენ და მიზანთან ყველაზე ახლოს 31-ე წუთზე იყვნენ, როცა ედეშკოს, ბოლოშევისა და ხარჩენკოვის ტყორცნების შედეგად ამერიკელები სულ 3 ქულით აღმოჩნდნენ წინ — 56:53.

საბჭოთა გუნდში ყველაზე შედეგიანი იყო ედეშკო, რომელმაც ნაკრებს 16 ქულა მოუტანა. ამერიკელთაგან ამ მხრივ თავი გამოიჩინა ტაუმ — 18 ქულა.

## სუარესი უჩივის

მილანის „ინტერნაციონალეს“ მწვრთნელად ახლახან დანიშნული გამოჩენილი ესპანელი ფეხბურთელი ლ. სუარესი უჩივის ფეხბურთელთა აშკარად სუსტ ფიზიკურ მომზადებას. ამიტომ მათი პირველხარისხოვანი ტექნიკა ფაქტიურად ფუჭად იკარგება.

ამ არსებითი ნაკლის გამოსასწორებლად სუარესმა გუნდში ფიზიკური მომზადების ხელმძღვანელად მიიწვია საუკეთესო სპეციალისტი, წარსულში იტალიის ნაკრების მოთამაშე კალიგარისი.

## ბრანში საუკეთესოა

ბერლინის ჟურნალმა „ფუვომ“ მოაწყო სპორტულ ჟურნალისტთა გამოკითხვა: „ვინ არის გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საუკეთესო ფეხბურთელი?“

ხმების დიდი უმრავლესობით ასეთად მიიჩნიეს ეროვნული ნაკრებისა და ჰალეს „ჰემის“ კაპიტანი, ცენტრალური მცველი ბ. ბრანში, რომელიც წარმატებით თამაშობდა მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატში.




რედაქტორი მ. კაკაბაძე.



გაზეთი გამოდის ყოველდღე გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: 380096 თბილისი, ლენინის ქ. 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50, რედაქტორის მოადგილე — 93-97-57, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, მასობრივ-ფიზკულტურული და მისწავლე და ხალხის ახალგაზრდობის განყოფილებები — 93-97-55, სპორტული განყოფილება — 99-56-47, 93-97-53, ფეხბურთის განყოფილება — 99-81-71, 93-97-58, ჭადრაკის განყოფილება — 93-97-51, წერილების განყოფილება — 93-97-54, მემანქანეთა ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია — 93-97-58, გამომშვები — 93-93-81, კორექტორები — 93-97-49.

# „მოვიდა მებრძოლი ახალგაზრდობა“

ჰელსინკი, 9 სექტემბერი. ფინეთის ჰოკეისტთა ნაკრებ გუნდში, რომელიც 10, 11 და 13 სექტემბერს მოსკოვში „იზვესტიის“ პრიზის გათამაშების მატჩებში შეხვდება მსოფლიო ჩემპიონს, დიდი ცვლილებებია. დავიწყოთ იმით, რომ მოსკოვში გუნდს ახალი უფროსი მწვრთნელი ს. ლიიტსოლა წაიყვანს. მეორე მწვრთნელად მუშაობს ლ. ჰეიკელი. ფინეთის ნაკრების ყოფილი უფროსი მწვრთნელი კ. ნუმინენი ახლა უმაღლესი ლიგის გუნდს „ტაპარას“ ჩაუდგა სათავეში.

მოსკოვში გამგზავრების წინ საკდესის კორესპონდენტთან საუბარში ლიიტსოლამ განაცხადა, რომ ოკეანის გაღმა პროფესიულ კლუბებში სათამაშოდ გაემგზავრნენ ჰ. რიიჰირანტა და ვ.-პ. კეტოლა. მომავალ სეზონში ავსტრიაში ითამაშებს მ. მურტო, ხოლო გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში — ი. ვისტილია. ი. რანტასილა საერთოდ დაემშვიდობა დიდ ჰოკეის.

„მაგრამ ჩვენ იმედს არ ვკარგავთ, — განაგრძო მწვრთნელმა. — სახელმოხვეჭილი ჰოკეისტების ნაცვლად ნაკრებში მოვიდა მებრძოლი ახალგაზრდობა. ბევრმა ახალგაზრდა მოთამაშემ უკვე ახლავე კარგად გამოიჩინა თავი საწვრთნელ მატჩებში. „იზვესტიის“ ტურნირის მატჩების გარდა ჩვენ ნაკრები გუნდების დონეზე კიდევ რამდენიმე საერთაშორისო შეხვედრის გამართვას ვაპირებთ. 27 სექტემბერს ჰელსინკში ვითამაშებთ კანადის გუნდთან, რომელიც ჰოკეის მსოფლიოს ასოციაციის უძლიერესი მოთამაშეებითაა დაკომპლექტებული. ამ მატჩს კანადელები მოსკოვისკენ გზად ითამაშებენ, სადაც საბჭოთა ნაკრებთან საპასუხო შეხვედრების ჩასატარებლად ჩავლენ.

21 ნოემბრისთვის დანიშნულია ჩვენი შეხვედრა ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებთან. ეს თამაშიც ჰელსინკში გაიმართება.

ფინეთის ჩემპიონატი წლეულს 3 ოქტომბერს აიღებს სტარტს. შეჯიბრებაში 10 საკლუბო გუნდი მიიღებს მონაწილეობას, რომლებიც ოთხ წრედ გაითამაშებენ პირველობას“.

**ვ. დოდონოვი.**
(საკდესის კორ.).

ИНДЕКС 44148 — საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. — უე 14114